

ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნების მნიშვნელობის ასახვა ქართველის ცნობიერებაში. ცირა ფუტკარაძე

ანოტაცია

მიზნად დავისახეთ გვევლია თუ როგორაა წარმოდგენილი ქრისტიანი ქართველის და მაჰმადიანი ქართველის ცნება მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველის ცნობიერებაში, თუ რა მნიშვნელობა მიეწერება მათ მიერ თითოეულ ამ ცნებას.

კვლევის სუბიექტები იყვნენ აჭარაში მცხოვრები 75 ქრისტიანი და 95 მაჰმადიანი ქართველი. რესპონდენტთა შერჩევა იყო შემთხვევითი. ცნებაში ნაგულისხმევი მნიშვნელობა ვიკვლიეთ ჩ. ოზგუდის სემანტიკური დიფერენციალის მეთოდით. ვივარაუდეთ, რომ ცნებაში იგულისხმება ის უნიკალური მნიშვნელობა, რომელიც ადამიანებს აქვთ დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილებით და მათი გამოხატვა შესაძლებელია შერჩეული ზედსართავი სახელებით. შესაბამისად შევარჩიეთ საშემფასებლო, ძალის და აქტივობის ფაქტორებით დატვირთული ზედსართავების წყვილი. მოპოვებული იქნა მონაცემები, თუ რა მნიშვნელობას დებენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ცნებაში და რა განსხვავებაა მათ მიერ მიწერილ მნიშვნელობებს შორის. აღმოჩნდა, რომ ქრისტიანი ქართველების მიერ ამ ორ ცნებისადმი მიწერილ მნიშვნელობებს შორის სხვაობა იყო $D=0,86$, ხოლო მაჰმადიანი ქართველების მიერ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნებებისადმი მიწერილ მნიშვნელობებს შორის სხვაობა იყო $D=0,65$. ამასთან აღმოჩნდა, რომ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები თითქმის ერთიდაიგივე მნიშვნელობას მიაწერენ ქრისტიანი ქართველის ცნებას - მნიშვნელობებს შორის სხვაობა $D=0,34$, ხოლო ცნება მაჰმადიანი ქართველის შეფასებისას ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მიერ მიწერილი მნიშვნელობები საკმაოდ განსხვავებულია. $D=1,2$.

საკვანძო სიტყვები:

ქრისტიანი, მაჰმადიანი, ქართველი, ცნება, ცნობიერება

საქართველოს ტრაგიკული ისტორიის შედეგია ის, რომ გაჩნდა მაჰმადიანი ქართველის ცნება. პოსტსაბჭოთა ეპოქაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც სცადეს საქართველოს ისტორიის ბედუკუღმართობა, თავიანთი მიზნებისათვის გამოყენება. საბედნიეროდ ეს ვერ მოხერხდა. აღშფოთებული ქართველი ხალხი აღსდგა საქართველოს ისტორიის ამ ავისმაუწყებელი გამყალბებლების წინააღმდეგ და საკმაოდ წარმატებითაც. სავსებით უსაფუძვლოდ გაჩნდა ტენდენცია აჭარა დაეპირისპირებინათ დანარჩენი საქართველოსათვის. ეს კი იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ აჭარლები რაღაც განსხვავებული ნიშნით იქნებოდა გააზრებული.

ცნობილია, რომ ქართველებისათვის ქრისტიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ეროვნულობა და ქრისტიანობა თითქმის იდენტურად განიცდება, რასაც თავისი საფუძველი აქვს. ქართველებისთვის კრიტიკულ

სიტუაციებში, როცა საქართველო ფეოდალური სისტემისათვის დამახასიათებელ ურთიერთდაპირისპირებულ სამთავროებად იყო დანაწევრებული, ერის კონსოლიდაციის ფუნქციას ხშირად ევლესია იღებდა თავის თავზე. ამიტომ, მართლმადიდებლობა და ქართველობა თითქმის გაიგივებული იყო ქართველის ცნობიერებაში. ყოველივე ამან შეიძლება დაბადოს ეჭვი, რომ საქართველოს ამ ძირძველი ნაწილის, აჭარის სამსაუკუნოვანმა ბედუკულმართობამ და გამაჰმადიანებამ მართლაც ხომ არ გამოიწვია მათ ცნობიერებაში, მათ თვითიდენტიფიკაციაში გარკვეული ცვლილებები? ჩვენმა ადრინდელმა გამოკვლევებმა, ვფიქრობთ დაადასტურეს, რომ ასეთი ეჭვისათვის არ არსებობს საფუძველი.

ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მაჰმადიანი ქართველების და ქრისტიანი ქართველების ღირებულებით ორიენტაციებში უმნიშვნელო განსხვავებაა_ამასთან, როგორც მუსლიმანი ისე ქრისტიანი ქართველები თავიანთი თავის იდენტიფიკაციას უფრო ქართველობასთან ახდენენ, ვიდრე მათ აღმსარებლობასთან.[1]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი დასკვნა გაკეთდა იმ კვლევების შედეგების ანალიზიდან, რომელიც აქ დასმულ პრობლემას უშუალოდ არ ეხებოდა.

ამჯერად მიზნად დავისახეთ უშუალოდ ამ პრობლემის კვლევა.კერძოდ,თუ როგორაა წარმოდგენილი ქრისტიანი ქართველის და მაჰმადიანი ქართველის ცნება მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველის ცნობიერებაში,რა მნიშვნელობა მიეწერება თითოეულ ამ ცნებას, არის თუ არა განსხვავება ამ ორი ცნების მნიშვნელობაში – რომელიც მათ მიეწერებათ.

კვლევის სუბიექტები იყვნენ აჭარაში მცხოვრები 75 ქრისტიანი და 95 მაჰმადიანი ქართველი. ასაკი 18-დან 60 წლამდე. რესპონდენტთა შერჩევა შემთხვევითი იყო.

კვლევის მეთოდი:

შერჩეული ორი ცნების მნიშვნელობაში განსხვავების დასადგენად გამოვიყენეთ ჩ. ოზგუდის მიერ შემუშავებული სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი.

აღნიშნული მეთოდი ემყარება მოსაზრებას, რომ ყოველ ცნებაში იგულისხმება ის უნიკალური მნიშვნელობა, რომელიც ადამიანებს დაგროვილი აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილებით. ეს მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს გარკვეული ზედსართავი სახელებით.

ჩვენს კვლევაში ცდისპირებს შესაფასებლად მიეცათ ცნება „ქრისტიანი ქართველი“ და „მაჰმადიანი ქართველი“. ცდისპირებს ევალებოდათ ამ ცნებების შეფასება ჩვენს მიერ შედგენილი სკალის მიხედვით, სადაც გამოყენებული იყო ზედსართავთა წყვილები.

სულ გამოვიყენეთ ზედსართავების 9 წყვილი, სადაც 5 წყვილი გამოხატავდა საშემფასებლო ფაქტორს, 2 ძალის და 2 აქტივობის ფაქტორს.

თვითონ სკალა ასე გამოიყურება:

| | გაიცემულია | საშამად | სუსტია | ნეიტრალური | სუსტი | საშამად | გაიცემულია | |
|------------|------------|---------|--------|------------|-------|---------|------------|---------------|
| სასიამოვნო | — | — | — | — | — | — | — | არასასიამოვნო |
| კარგი | — | — | — | — | — | — | — | ცუდი |
| პოზიტიური | — | — | — | — | — | — | — | ნეგატიური |
| ნათელი | — | — | — | — | — | — | — | ბნელი |
| სუფთა | — | — | — | — | — | — | — | ჭუჭყიანი |
| ძლიერი | — | — | — | — | — | — | — | სუსტი |
| სწრაფი | — | — | — | — | — | — | — | ნელი |
| აქტიური | — | — | — | — | — | — | — | პასიური |
| მშვიდი | — | — | — | — | — | — | — | აგრესიული |

ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილი სკალა, რომელიც შვიდსაფეხურიანია (უკიდურესი დადებითიდან უკიდურეს უარყოფითამდე), ცდისპირებს მიეწოდებათ შემდეგი ინსტრუქციის თანდართვით.

თუ მიგაჩნიათ, რომ მაჰმადიანი ქართველი არის საკმაოდ სასიამოვნო, მაშინ აღნიშნეთ ასე:

სასიამოვნო  არასასიამოვნო

თუ მიგაჩნიათ, რომ მაჰმადიანი ქართველი არის საკმაოდ არასასიამოვნო, მაშინ აღნიშნეთ ასე:

სასიამოვნო  არასასიამოვნო

თუ მიგაჩნიათ, რომ მაჰმადიანი ქართველის მიმართ თქვენი დამოკიდებულება ნეიტრალურია, მაშინ აღნიშნეთ ასე :

სასიამოვნო  არასასიამოვნო

და ა. შ. არ გამოტოვოთ არცერთი ქვესკალა. წინასწარ გიხდით მადლობას.

კვლევის შედეგები და ანალიზი:

მიღებული შედეგების დამუშავებით უნდა მიგვეღო წერტილი სამგანზომილებიან სივრცეში, რომელიც ცნების მნიშვნელობის გამომხატველი იქნებოდა. შესაბამისად მივიღებთ ქრისტიანი ქართველისა და მაჰმადიანი ქართველის მნიშვნელობის გამომხატველ წერტილებს სამგანზომილებიან სივრცეში. წერტილებს შორის მანძილმა უნდა მიუთითოს თუ რამდენად ახლოსაა ამ ორი ცნების მნიშვნელობა მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების თვალსაზრისით.

მიღებული შედეგები იხილეთ ცხრილი #1

ცხრილი #1

| რესპონდენტთა რაოდენობა | რესპონდენტი | შესაფასებელი სუბიექტი | საშემფასებლო ფაქტორი | მალის ფაქტორი | აქტივობის ფაქტორი |
|---------------------------|-------------|--------------------------|-------------------------|------------------|----------------------|
| 75 | ქრისტიანი | ქრ. ქართველი | 2,48 | 2,24 | 2,22 |
| | ქართველი | მაკმ.ქართველი | 1,24 | 1,36 | 1,09 |
| 93 | მაჰმადიანი | ქრ. ქართველი | 2,16 | 2,21 | 2,09 |
| | ქართველი | მაკმ.ქართველი | 1,98 | 1,67 | 1,77 |

მოცემული ორი ცნების მნიშვნელობებს შორის განსხვავება გამოვთვალეთ ფორმულით:

$$d = \sqrt{(X_1 Y_1) + (X_2 - Y_2) + (X_3 Z_3)}$$

შესაბამისად მივიღეთ შემდეგი განსხვავება. ქრისტიანი ქართველების მიერ ქრისტიანი ქართველის და მაჰმადიანი ქართველის ცნებებისადმი მიწერილ მნიშვნელობებს შორის სხვაობა იყო $D=0,86$, ხოლო მაჰმადიანი ქართველის მიერ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისადმი მიწერილ მნიშვნელობებს შორის სხვაობა იყო $D=0,65$.

როგორც ვხედავთ, სამივე ფაქტორები როგორც ქრისტიანი ისე დამაჰმადიანი ქართველები ქრისტიან დამაჰმადიან ქართველის ცნებაში დადებით მნიშვნელობას დებენ. თუმცა აშკარაა ისიც, რომ ქრისტიანი ქართველის ცნებას გაცილებით უფრო დადებითი მნიშვნელობა მიეწერება—თითქმის უკიდურეს დადებითამდე – ვიდრე მიეწერება მაჰმადიანი ქართველის ცნებას, თანაც ასეთ შეფასებას იძლევიან როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ქართველები. რაც შეეხება ქრისტიანი ქართველის დამაჰმადიანი ქართველის ცნებების მნიშვნელობებს შორის სხვაობას ($0,86$ და $0,65$) უნდა ვივარაუდოთ რომ არც ისე მნიშვნელოვანია. თანაც ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის მიერ მოცემული შეფასება თითქმის ერთნაირია.

ცხრილი #2

| შემფასებელი | შესაფასებელი | მიღებული განსხვავება |
|---------------------|---------------------|----------------------|
| ქრისტიანი ქართველი | ქრისტიანი ქართველი | $D=0,34$ |
| მაჰმადიანი ქართველი | | |
| ქრისტიანი ქართველი | მაჰმადიანი ქართველი | $D=1,2$ |
| მაჰმადიანი ქართველი | | |

ვფიქრობთ საინტერესო შედეგები მოგვცა ანალიზმა, როცა ანალიზის ერთეული გავხადეთ ის თუ რამდენად განსხვავდება ქრისტიანი ქართველის და მაჰმადიანი ქართველის ცნებაში ნაგულისხმევი მნიშვნელობა, როცა შემფასებლები იყვნენ ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები. აღმოჩნდა, რომ ქრისტიანი დამაჰმადიანი ქართველები თითქმის ერთიდაიგივე მნიშვნელობას მიაწერენ ქრისტიანი ქართველის ცნებას, მნიშვნელობებს შორის სხვაობა $D=0,34$, ხოლო ცნება მაჰმადიანი ქართველის შეფასებისას ქრისტიანი დამაჰმადიანი ქართველების მიერ მიწერილი მნიშვნელობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია $D=1,2$.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუტკარაძე ც. „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებათა ორიენტაციები”. //პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი” #3 (17)2003
2. ფუტკარაძე ც. „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მე-კონცეპცია (შედარებითი ანალიზი) ჟურნალი „ინტელექტი” #1(18) 2004

სტატია მიღებულია: 2005-04-19